ხელშეკრულება №37
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
(საქონლის შესყიდვა)

ქარელი **10 აპრილი 2019 წელი**

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ქარელის მუნიციპალიტეტის სასპორტო დაწესებულებების გაერთიანება (საიდენტიფიკაციო კოდი: 440885115) წარმოდგენილი მისი მმართველის **გიორგი ბერუაშვილის** სახით (შემდგომში – შემკვეთი) და მეორეს მხრივ, ი/მ „ზაზა ღვალაძის“ ს/კ 43001001142 სახით (შემდგომში – შემსრულებელი), ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე: საფუძველი: სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების მე-2 მუხლის ა)-პუნქტი და სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მე-3 მუხლის 1 პუნქტის ს[1])-ქვეპუნქტი.

ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ქარელის სასპორტო სკოლისათვის (მის: ქარელი, ახალგაზრდობის ქ.) წყლის ტუმბოსა და ტანსაცმლის საკიდების გამარტივებული შესყიდვა. (Cpv-39100000), (Cpv-42100000), (Cpv-44400000), (Cpv-44500000).

2. შესყიდვის ობიექტი

2.1 შესყიდვის ობიექტია:

CPV კოდი	საქონლის დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა	საქონლის ღირებულება	მთლიანი ღირებულება
39136000	ტანსაცმლის საკიდები	ცალი	120	2	240
42122130	წყლის ტუმბო	ცალი	1	200	200
44424200	წებოვანი ლენტი	ცალი	1	5	5
44531400	ჭანჭიკი	კგ	0.50	8	4

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში – ლარში

3.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულებაა – 449(ოთხას ორმოცდაცხრა) ლარი.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდები ვადა, ხარისხი და გარანტია

4.1 საქონლის მიწოდების ვადაა – 2019 წლის 10 აპრილის ჩათვლით.

4.2 შემსრულებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემკვეთის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

4.3 შემსრულებელი ვალდებულია საქონელი მიაწოდოს ქარელის ახალგაზრდობის ქ.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსრულებლისა და შემკვეთის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

6. ანგარიშსწორების ფორმა და გრაფიკი (ვადები)

6.1. შემსრულებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში.

6.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, თანხის შემსრულებლის საბანკო რეკვიზიტებზე გადარიცხვით. თანხის ანაზღაურება მოხდება შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარებიდან 10 (ათ) სამუშაო დღეში.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემკვეთს უფლება აქვს:

-შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

7.2. შემკვეთი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება შემსრულებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

7.3. შემსრულებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემკვეთს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4. შემსრულებელი ვალდებულია:

- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

8.3. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან – 2019 წლის 1 ივნისი

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11. ფორს-მაჟორი

11.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

11.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

11.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1. შემკვეთი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

13.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემკვეთის მხრიდან განახორციელებს სპეციალისტი სამეურნეო დარგში კობა ბეგალაშვილი.

13.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემკვეთი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

13.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება შემსრულებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. სხვა პირობები

14.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემკვეთი:

ა(ა)იპ ქ. ქარელის მუნიციპალიტეტის
სასპორტო დაწესებულებების გაერთიანება
ს/კ 440885115
სახელმწიფო ხაზინა
ქარელი ყაზბეგის 92
გაერთიანების მმართველი

გიორგი ბერუაშვილი

NNLE Unification of Kareli Municipality Sport Institutions

Digitally signed by NNLE Unification of Kareli Municipality Sport Institutions
Date: 2019.04.10 12:11:45 +04'00'

შემსრულებელი:

ი/მ „ ზაზა ღვალაძე “
ს/ნ43001001142
მის: ქარელი, დაბა აგარა
სს. ლიბერთი ბანკი
ბანკის კოდი: LBRTGE22
ა/ნ GE 02 LB 011 215 033 523 1000

ი/მ ზ. ღვალაძე

Zaza Gvaladze

Digitally signed by Zaza Gvaladze
Date: 2019.04.10 12:05:50 +04'00'

მიღება-ჩაბარების აქტი #37

(ხელშეკრულების პირობების შესრულების შესახებ)

ქარელი, დაბა აგარა **10 აპრილი 2019 წელი**

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – ქარელის მუნიციპალიტეტის სასპორტო დაწესებულებების გაერთიანება (შემდგომში – შემსყიდველი) მისი სპეციალისტი სამეურნეო დარგში კობა ბეგალაშვილის (საიდენტიფიკაციო კოდი 440885115) სახით და მეორეს მხრივ **ი/მ ზაზა ღვალაძის (ს/კ 43001001142),** (შემდგომში როგორც - მიმწოდებელი) სახით, ვადგენთ წინამდებარე აქტს მასზედ, რომ 2019 წლის 10 აპრილს დადებული №37 ხელშეკრულების სახელმწიფო შესყიდვების შესახებ (საქონლის შესყიდვა) მოთხოვნათა შესაბამისად „მიმწოდებელმა“ შეასრულა მასზე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, მიწოდებული საქონლის ღირებულება შეადგენს – 449 (ოთხას ორმოცდაცხრა) ლარი.

აქტის სისწორეს ვადასტურებთ ხელმოწერებით.

შემსყიდველი	მიმწოდებელი
/კ. ბეგალაშვილი/	/ზ.ღვალაძე/
NNLE Unification of Kareli Municipality Sport Institutions Digitally signed by NNLE Unification of Kareli Municipality Sport Institutions Date: 2019.04.10 12:12:09 +04'00'	Zaza Gvaladze Digitally signed by Zaza Gvaladze Date: 2019.04.10 12:06:36 +04'00'